# შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 11.

კვირა, ივნისი 22, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.
ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.



**შინაარსი:** ქრისტე ღმერთი და ივ. გომართელის იჭიბოჭია—სანმანიანისა; პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე—ბოსლეველისა; ახლო-მახლო (გაგრძელება)—კირილე წუთისოფლელისა; რწმენა (ლექსი)—ლადო გაგუასი; დაბადების მოთხრობა (გაგრძელება)—ტონკმელისა; ალრჩევითი უფლება და სამღვდელო კანდიდატების კრიზისი იმერეთის ეპარქიაში—უკიდურესისა.



### ყოველ კვირეულ გაზეთ

## „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.


### შეცდომის გასწორება.

„შინაური საქმეების“ მე-10 №-ში შეცდომით იყო დაბეჭდილი „ახლო-მახლო“-ს ავტორის გვარი ტონკმელი, უნდა იყოს—კირილე წუთისოფლელი.

### ქრისტე ღმერთი და ივ. გომართელის იჭიბოჭია.

ნუ გაგვიწყრება ბ. გომართელი, რომ ამ ახალ მეცნიერების მარგალიტსაც მის იჭიბოჭიად სახელვდებთ. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ბ. გომართელს თავისი არ ფერი აქვს, რომ იგი დასავლეთიდგან გადმოყრილ ნაგავს ქექს, რომ იგი კი არ მეცნიერობს, პროპაგანდას ეწევა, აი სწორედ ისე, როგორც „პროგრესიული“ კლასების კურსისტიკები ეწეოდნენ ამას წინათ სანდონების პროპაგანდას და არახუნებდენ ერთ და იმავე დაზეპირებულ ფრაზებს, რომლის შინაარსი მათ მასწავლებლებსაც ხშირად ხეირიანად არ ესმოდათ.

მთვარე ხომ თავის თავად ბნელი ციგია, როგორც გვარწმუნებს მეცნიერება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვამბობთ მთვარე ანათებსო, თუმცა ეს სინათლე, მას კიარა, მზეს ეკუთვნის. გომართელიც მთვარეა, რომელიც გვინათებს სხვა და სხვა მეცნიერთა (უფრო უმეცართა) შუქით და არახუნებს ათასჯერ ნაჯიჯგნათრევ ფრაზებს, რომლებიც, უნდა შევნიშნოთ, გადასულ საუკუნოების მეცნიერებს ეკუთვნიან და რომლებიც მათთან ერთად მიებარენ არხივს. ხოლო ბ. გომართელს ხლეახლა გამოაქვს იგინი მზეზე და უნდა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად გაასაღოს, აი სწორედ ისე, როგორც მეფართლე თავის მოდა გასულ და დამჩიჩულ ფართალს წამოსდებს ხოლმე წინ და, რაც ძალი და ღონე აქვს, აწონებს მყიდველს. ამ აზრით ვამისებთ ბ. გომართელს იმას, რაც ნამდვილად მისი არ არის და არც შეიძლება იყოს.

ამ წერილში ჩვენ ვეხებით გომართელის იჭიბოჭიას იმის შესახებ, თუ „როგორ გააჩინა კაცმა ღმერთი? (იხ. „ჩვენი კვალი“ № 1). სათაურიდგანვე სჩანს, რა ჯურის მეცნიერთან გვაქვს საქმე. აქამდის ყველა გაიძახოდა ღმერთმა გააჩინა კაციო და ეხლა გამოდის ი. გომართელი და გვეუბნება

თიო. მოდი და ნუ დაუძახებ მეცნიერს იმ კაცს რომელსაც ასეთი ახალი ამბავი მოაქვს. დაუგდოთ მაინც ყური, თუ როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი?"

რადგანაც „არავითარი ხორციელი არ ისახება და არ იბადება ისე, თუ დედლის კვერცხს მამლის სპერმატოზოიდი არ შეუერთდა", ამიტომ არ შეიძლებოდა იესო ქრისტეს უთესლოდ, უმამაკაცოდ განხორციელებაო, ამიტომ სარწმუნოდ უნდა მივიღოთ ერთ მრავალ სახარებათაგან მოთხრობა, რომლიდგანაც სჩანს, რომ იესო იყო უკანონო შვილი რომაელ კაპიტნის იოსებ პანდერასიო, რასაც ნათელსჰფენს (?!) მათეს სახარებაცო. ამნაირად კაპიტანმა იოსებ პანდერამ გაუჩინა გომართელს ღმერთი... აზრების არევ-დარევა და პარტიის ცნობილ ჰეშმარიტების წინააღმდეგობა ძირითადი თვისებაა იმ პატიოსანი გვამის, რომელსაც უნდა ფენთხი გავად გაასაღოს, ან მუხას ვაშლი გამოაბას. გომართელს როგორც მატერიალისტს ნება არა აქვს ილაპარაკოს უთესლოდ განხორციელების წინააღმდეგ: იგი თუ შემდგომითი მატერიალისტია, უნდა იცოდეს და აღიარებდეს, რომ უთესლოდ, უსპერმატოზოიდოდ განხორციელება შესაძლებელია. ეს ძირითადი საფუძველია მატერიალისტების მოძღვრებისა. უამისოდ მთლად ირღვევა ის ბაბილონის გოდოლი, რომელსაც მატერიალიზმი ჰქვია. თვით ბ. გომართელი სასტიკად იცავს ამ აზრს თავის ქვეყნის გაჩენის იპიბოჰიაში (იხ. „შინ. საქ." № 1). იგი ამბობს, რომ ადამიანი და ცხოველები განვითარდენ ცილეულისაგან, რომელიც იყო შედეგი წყლისგან გამოწვეულ სხვა და სხვა ქიმიურ ცვლილებისაო. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, რომ პირველყოფილ მატერიში არავითარი კვერცხი, ან თესლი, სპერმოტოზოიდი მამაკაცისა, გინა გიპპოპოტამისა არ ყოფილა. მაშ საიდგან მოხდა რომ უამსპერმატოზოიდოთ განვითარდა ამოდენა სხვა და სხვა გვარი ცხოველები, ან უკეთ ვსთქვათ პირველი მათი დედმამა, თუ არ თვით ჩასახვის, თვით წარმოშობის კანონით, რომელსაც ასე ცხარედ იკავდენ მეცხრამეტე საუკუნის მატერიალისტები და დღესაც იცავენ თანამედროვე მატერიალისტები და მათთან ერთად გომართელიც, როცა დაჭირდება, როგორც მაგ. ზემო მოყვანილ ქვეყნის გაჩენის იპიბოჰიაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვწამს არავითარი თვით ჩასახვის და თვით წარმოშობის თეორიეები და სრული თანახმა ვართ ბ. გომართლისა რომ „არაფრისაგან არაფერი არ იქნება" (იხ. „ჩვ. კვალი" № 1) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ არაფერთან ღმერთი გვყავს, ღმერთი ყოვლად შემძლებელი, რომლისაგან „არა შეუძლებელ არს ყოველი სიტყვა".

ამნაირად ბ. გომართელს, როგორც მატერიალისტს, არ შეფერის თვით ჩასახვის, თვით განვითარების თეორიის უარყოფა; არც, ვგონებ, უარი ჰყოს; მხოლოდ ახლა დასჭირდა ქრისტეს გაკაცებისთვის, გაადამიანებისთვის.

ვინ იყო იესო ქრისტეს მამა, ე. ი. ვინ გაუჩინა გომართელს ღმერთი? 700 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე წინასწარმეტყველი ისაია ამბობს „ხოლო თესლტომი მისი ვინმე მიუთხრასო", თუმცა მან კარგად იცის: „აჰა ქალწული მიუდგეს და შაას ძეო", ე. ი იცის დედა და არ იცის მამა. დღესაც ქვეყანამ იცის ვინ იყო დედა და არავინ იცის ვინ იყო მამა იესოსი. ასახელებდენ იოსებ მოხუცებულს, მაგრამ მისი გადაჭრილი უარი ამ საგანზე ენას ჭრის ყოველ მიუდგომელ მკვლევარს; მათეს მოთხრობა მხსნელის განხორციელებაზე არაფერ ეჭვს აღარ ტოვებს იმის შესახებ, რომ იოსებ მოხუცებული არ იყო მამა იესოსი. ამას არ უარჰყოფს და კიდეც სარწმუნოდ ღებულობს ბ. გომართელი. მაშ ვინ იყო მამა იესოსი, ურომლისოთ გაახორციელება მას არ შეეძლო, როგორც გვარწმუნებს გომართელი? იოსებ პანდერა, რომის კაპიტანი, კალაბრიის ჯარის უფროსი, რომელი ჯარიც იუდას ქვეყანაში იდგა. „პანდერამ შეაცდინა ურიის ქალიშვილი ბეთლემელი მარიამი, რომელსაც ეყოლა ვაჟი იესო". ამის საბუთი? ასე ამბობს ურია გეკკელი. რა საბუთით ამბობს? „ერთ დაწერებულ სახარებაში" ამოუკითხავს. ნამდვილად კი გეკკელზე უფრო ადრე სხვები

იმეორებდენ. სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ძველი ურიები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ დაემტკიცებიათ, რომ იესო უბრალო კაცი იყო და ამისთვის ბევრ ზღაპრებს თხზავდნენ, რომელთაგან პირველი მოყვანილი ზღაპარია; აბა რაღა მტერობაა, ის მტერობა, თუ არაფერი მოიგონე. როცა ნამდვილ საბუთს ვერ პოულობენ ჭეშმარიტების უარ საყოფად, ზღაპრებს თხზავენ, როგორც ამას შვრება თვით გომართელი, როცა აგვიწერს ი. ქრისტეს გარეგან შეხედულებას, მაგრამ ზღაპარი ხომ საბუთი არ არის. ხოლო „დაწუნებულ სახარების“ მოყვანილი თქმულება რომ ზღაპარია ეს ცხადზე უცხადესია. მართლა და ვინ ნახა, რომ იოსებ პანდერამ შეაცდინა ვიღაც მარიამი, და რომ ამ მარიამის შვილი გამოვიდა ის იესო, რომელმაც გარდაქმნა, გადაახალისა მთელი კაცობრიობა, ჩაუდგა ახალი სული და გული, მისცა უნარი ახალი ცხოვრებისა. ან რა ისტორიის ღირსად გახადა მან რომაელ პანდერას გარყვნილება? განაცოტა იყო და არის ასეთი დაცემის მაგალითები, რომლებთა შორის ერთსაც არ მისცემია ადგილი მსოფლიო ისტორიაში? ვის რათ დასჭირდა ამის გამოაშკარავება? წინდაწინ ხომ არავინ იცოდა, რომ ამ კავშირიდგან ქვეყანაზე უმაგალითო საკვირველება—ადამიანი დაიბადებოდა? მათეს მოთხრობა შესახებ მაცხოვრის განხორციელებისა, რომელიც გომართელს თავის ზღაპრის გასამართლებლად მოჰყავს, სრულიად აქარწყლებს მას და ერთ იოტის ოდენა ეჭვსაც არ გვიტოვებს, რომ იესო ქრისტეს ღვთაებრივი შთამომავლობა ჰქონდა და არა კაცობრივი. მოვიყვანოთ ეს ადგილი თეალათ ისე, როგორც წერია სახარებაში. „ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო. რამეთუ თხოვილ იყო დედა მისი მარიამ იოსებისა. და ვიდრე შერთვამდე მათდა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა. ხოლო იოსებ,—ქმარი მისი, მართალი იყო, და არა უნდა განმხილება მისი, იზრახა ფარულად განმტევება მისი, და ვითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, აჰა ანგელოზი უფლისა ჩვენებით გამოუჩნდა მას და რქვა: იოსებ, ძეო დავითისაო! ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე და უწოდოს სახელი მისი იესო; რამეთუ მან იხსნას ერი თვისი ცოდვათა მათთაგან... განიღვიძა იოსებ ძილისა მისგან და ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ანგელოსმან უფლისამან და წარიყვანა ცოლი თვისი“ ჩვენ არ ვიმოწმებდით ამ თქმულებას, რომ ბ. გომართელს არ მოჰყავდეს იგი თავის ზღაპრის გასამართლებლად, ვითომ იესო იყო ნაყოფი მარიამის დაცემისაო. რას გვეუბნება ეს მოთხრობა? როცა იოსებმა შეამჩნია მარიამის მიდგომა და თითონ კი მასთან მართალი იყო, იფიქრა ცოლქმრული ერთგულება დაურღვევიაო და მოინდომა სჯულისამებრ განტევება მისი, ფარულად, რომ არ გაელანძღა ცოდვილი, მაგრამ აღარ განუტევა, რადგან ჩვენებით ეუწყა, რომ იგი მიდგომილ იყო სულისაგან წმიდისა. რომ ეს უწყება ნამდვილი ფაქტი არ ყოფილიყო, რომ იოსები არ დაჯერებულიყო, რომ მარიამს არ დაურღვევია ერთგულება თავის სახელით ქმრისთვის, რომ იგი ისეთივე უბიწო იყო, ეჭვი არ არის იგი განუტევებდა საუკუნოდ, როგორც ამას შვრებიან დღევანდელი ებრაელები, და მით დაამტკიცებდა მარიამის დაცემის სინამდვილე!. მაგრამ იგი არ შვება ამას. რატომ? მიტომ რომ უთუოდ საიდგანღაც დარწმუნდა მის უბიწოებაში, დარწმუნდა ზეგანცხადებით. იქნებ ბ. გომართელმა იფიქროს, ეს ზეგანცხადება მოჭორილიაო. მაშინ, ვკითხოთ მას,—რამ დააჯერა იოსები მარიამის უბიწოებაში? რათ არ განუტევა იგი, არამედ კიდეც წარიყვანა, როგორც მოწმობს მათე. ნუ დაივიწყებს ბ. გომართელი, რომ ებრაელების სჯულმა ასეთ შემთხვევებში შებრალება არ იცის. სჯულნებას აძლევს ებრაელს განუტეოს ცოლი, რომელიც არათუ დაეცემა, არამედ ცოტა ხნობითაც კი დარჩება ცალკე ოთახში უბირ მამაკაცთან, გარდა ქმრისა. ამნაირად ორში ერთი უნდა მივიღოთ: ან იოსები დარწმუნებული იყო მარიამის უბიწოებაში ან უნდა განეტევებია იგი. არ განუტევა, მაშასადამე დარწმუნდა, რომ მარიამიც მართალი იყო ისე,

როგორც თვით იყო მართალი. ასეთი რწმენა არ შეიძლებოდა თავისთავად გაჩენოდა მას, რ დგან მიდგომილი მარიამი თვალწინ უდგა; მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ის ზეგანცხადება, რომელზედაც მოგვითხრობს სახარება მართალია, ჭეშმარიტი, უტყუარი ფაქტია და თუ ეს ასე, თავისთავად იჩენევა ხელოვნურად შეთხზული ზღაპარი ქრისტეს კაცობრივ შობისა და ისიც კანონიერ ქორწინების გარეშე. მართალი იოსები ცოცხალი მოწამეა მარიამ ქალწულის უბიწოებისა. სხვანაირი დასკვნა აქ შეუძლებელია და მიკვირს გომართელის ტვინის უჯრედებმა რათ იკადრეს ასეთი ყოვლად უმსგავსი და უბირი დასკვნის გამოყვანა, ვითომ რადგან იოსებ მართალი არ იყო მამა იესოსი, უთუოდ კაპიტანი იოსებ პანდერა იქნებოდაო (ძველ რომში კაპიტნებიც ყოფილან!). მაგრამ უთუოდ არც ეს არის მისი, როგორც არც სხვა რამ, რომლებზედაც ბაასობს ბ. გომართელი. მთვარეს ხომ თავის სხივი არა აქვს, ბნელია და სინათლეს მზისაგან ღებულობს მოწყალებასავით...

სხვისი ნაჩურჩულებია ისიც, რომ ვითომ იესო ქრისტეს მამის შესახებ ნამდვილი ცნობები დაკარგულიაო. თუ ასე არ იყოს მოიყვანდა რამე საბუთს, გარდა იმისა, რომ „მეოთხე საუკუნეში ერთმა ეპისკოპოსმა უშესანიშნავესი წიგნთსაცავი დასწვა“! (უთუოდ იქ დამწვარა ცნობები ქრისტეს მამის შესახებ?!) გეროსტრატმაც კი დასწვა დიანას ტაძარი, მაგრამ მიტომ ყველა ტაძრები კი არ დამწვარა. თუ ერთი წიგნთსაცავი დაიწვა, მეორე დარჩებოდა, რომელიც მისცემს გომართელს ცნობებს ი. ქრისტეს მამის შესახებ! მაგრამ ვკითხავთ ბ. გომართელს: რატომ ერთხელ მაინც არ მოიხსენა ი. ქრისტემ თავის მამის სახელი, თუ იგი ყავდა მას? წინააღმდეგ, თუ სახარებას დავუჯერებთ (არ დავუჯეროთ ჯანი არა გვაქვს, რადგან წინააღმდეგი საბუთი არ იპოვება) იესო ქრისტე თორმეტი წლისა იყო, როდესაც განუცხადა დედას: „სახლსა მამისა ჩემისასა ჯერ არს ჩემი ყოფაო“, ე. ი. ტაძარში, სადაც იკრიბებოდენ მორწმუნენი.

არც ერთ მოციქულს, რომლებმაც წერილები დაგვიტოვეს ერთი სიტყვითაც, ერთი საეკვო ფრაზითაც არ უთქვამს, რომ იესო ქრისტეს მამა ყავდა. წინააღმდეგ, პეტრეს პირით მათ აღიარეს იგი „ძედ ღვთისა, მეუფედ ისრაილისა.“

ქრისტეს მოსისხლე მტრებიც ფარისეველები, მხოლოდ იოსებ მართალზე და მარიამზე უჩვენებდენ, როგორც ი. ქრისტეს დედმამაზე: „არა ესე არს შვილი იოსებისა ნაზარეთით, რომლის მამა და დედა ჩვენ ვიცით? ვითარ იტყვის იგი, ვითარმედ ძე ღვთისა ვარ მე“? კითხულობდენ ბრაზმოსული ფარისეველები. რას არ მისცემდენ იგინი ბ. გომართელს, რით არ დააჯილდოებდენ, რომ ამ დროს თავის იჭიბოჭიათი მიშველებოდათ და გაემეღავნებია ი. ქრისტე იოსებ პანდერას შვილიაო. თითქმის ყველა მოციქულების მამის სახელია მოყვანილი სახარებაში და იესო ქრისტეს მამაზე არაფერია მოხსენებული.

რაც შეეხება იმ ორმოცდა ათ ყალბ სახარებას, რომლებსაც იხსენიებს ბ. გომართელი (ჩვენ არ ვიცით ნამდვილი რიცხვი ამ სახარებებისა და ამიტომ არაფერს ვამბობთ), მათზე დაფუძნება მხოლოდ ყალბ გონებას შეუძლია, რომელიც თვალს ვერ უმართავს ცხად ჭეშმარიტებას. „წმიდა მამებმა იგინი ყალბად იცვნესო“, ამბობს გომართელი და თითქოს უსაყვედურებს, რატომ იცანით ყალბათო. რა თქმა უნდა, ყალბი ყალბად უნდა ეცნოთ და იცვნეს კიდეც და თუ ბ. გომართელი ასეთ ცნობას, უსაფუძვლოდ რაცხს, დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი, დაგვიმტკიცოს უტყუარი საბუთით, რომ ეს მისი ორმოცდაათი სახარება ყალბი და განძრახ შეთხზული არ არიან, რომ იგინი დაწერილია მათგან, ვინც თვითმხილველნი იყვნენ მაცხოვრისა, ვინც დაახლოებით იცოდა მისი ვინაობა. თუ ეს ორმოცდაათი სახარება გომართელს ქრისტეს პიროვნებაზე ჭეშმარიტ მოთხრობად მიაჩნია, მაშ ჩვენი ოთხი სახარება ყალბი ყოფილა და აბა ერთი სინჯოს და მოიყვანოს ამის გასამართლებელი საბუთები! „ენას ძვალი არა აქვს“ ამბობს ძველი ანდაზა. თქმით ყოლიფერი შეგვიძლია ვსთქვათ; შეგვიძლია ისიც ვსთქვათ, მზე რომ არ იყოს,

უფრო მეტი სითბო და სინათლე იქნება ქვეყანაზეო, მაგრამ ვინ ლაგვიჯერებს, თუ ენის ძალი არ ვუჩვენეთ, ე. ი. საბუთები არ წამოვუყენეთ. მტყვანი კაცის ენას მხოლოდ საბუთების მოთხოვნა გაჩერებს და ჩვენც სწორეთ ამით ვფიქრობთ გავაჩეროთ ბ. გომართელ ს უძვლო ენის უსაბუთო ტლიკინი.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

## პროფესორ მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე.*)

(მისი წერილებიდგან).

(რუსულით).

ერთი რამ: ან ბუნებაში არის გონიერება და ან არ არის და მაშინ იგი უგუნურია, არის ხაოსი, (არეულობა უწესრიგობა) უაზრობა და, არც უფრო დახელოვნებულის გამარჯვებას ცხოვრებაში, და არც ბუნებით ხელის შეწყობას არ შეუძლია შეიტანოს წესიერება ამ არეულობაში ისე, როგორც შეუძლებელია გიოტეს პოემის „ფაუსტის" შედგენა უთავბოლოდ დაყრილ სტამბის ასოებიდგან, რაც უნდა ვანძრიოთ და ვრიოთ იგინი. თუ მაინც და მაინც გვინდა, მტკიცეთ დავადგეთ დარვინის გამოკვლეულ. ბუნების კანონებს—ბუნებით ხელის შეწყობას და უფრო დახელოვნებულთა გამარჯვებას—ცხოვრებაში—უნდა აღვიაროთ სული, რომელიც ქმნის ამ ხელშეწყობას და შეგუებას (приспособленіе); აღვიაროთ ეს მიზნისდაგვარობა, როგორც აზროვნება შემოქმედისა, რომელსაც მართლა შეუძლია მსჯელობა და მოფიქრება.

მე ვფიქრობ, რაც აქნამდის ვსთქვი, ყოლიფერი გასაგებია; მაგრამ რაც ჩვენთვის ცხადია, ის, შეიძლება გაუგებარი იქნეს ყრმათათვის და აგრეთვე კაცობრიობისათვის, რომელიც სცხოვრობდა 5,000, ან 50,000 წლის წინეთ. მე ვცდილობდი უმთავრესად, გამომერკვია ის თუ რა გზით და როგორ მიაღწია ძველმა, კიდევ გაუნათლებელმა, ადამიანებმა იმ რწმენამდი, რომ არის რაღაც ამ ქვეყნის გარეშე მყოფი, უხილავი, კაცზე და ქვეყნიერებაზე უმაღლესი. მათი ენიდგან და ძველი სარწმუნოებრივი ნაშთებიდგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ მათ ადრე შენიშნეს რაღაც განსაკუთრებული იმ ბუნებაში, რომელიც მათ გარეშეიცავდა. ქვეყნიერება არ ყოფილა ბნელით მოცული, უძრავი და მკვდარი. მზე ამოდიოდა, ადამიანი იღვიძებდა ძილისაგან ჰკითხავდა თავის თავს და ამ ცის მნათობს: საიდგან და ვინ არის იგი? როგორ მოძრაობს? უთუოდ თავისით არ ადგება ხოლმე იგი? თავდაპირველად მართლაც მზე თვითმოქმედი მუშა ეგონათ, რომელიც უდიდეს მოღვაწეობას ეწეოდა დედამიწისათვის: ჰფენდა ნათელს, სითბოს, სიცოცხლეს, ხელს უწყობდა აღმოცენებას, ნაყოფიერებას.

აქედგან სრულებით ბუნებითად დაიბადა მზის თაყვანის ცემა: მას მადლობდენ, მისგან თხოულობდნენ სითბოს, სინათლეს, მოსავალს. ამ ნაირად გაღმერთდა მზე, ე. ი. მას უწოდეს სახელად „დევა" (Deva, deus), რაც თავდაპირველად ნიშნავდა სინათლეს, მაგრამ უკვე ძველმა პერუელმა ინკამ შენიშნა, რომ მზე თავისუფალი არ არის, მაშასადამე იგი ისეთი ვინმე არსება არ არის, რომელსაც ეკუთვნის მადლობა, რომლისგანაც შესაძლებელია რამე გამოითხოვოს. ის მიხვდა, რომ მზე ემსგავსება მუშა საქონელს, ვალდებულია ყოველდღე გაიაროს განსაზღვრული მანძილი. მიუხედავად იმისა, რომ მის სამშობლოში მზის თაყვანის ცემა საზოგადო სარწმუნოებად იყო აღიარებული და თითონაც მზის შვილად იწოდებოდა, მან მაინც უარჰყო ძველი მამაპაპური სარწმუნოება და შეიქმნა, როგორც ლაპარაკობენ ეხლა, ატეისტი (ღვთის უარმყოფელი—ურწმუნო), ე. ი. დაიწყო

*) იხ. „შინ. საქ." № 6.

ძებნა უფრო ჭეშმარიტი ღვთისა. სხვა ქვეყნებშიდაც ასევე ხდებოდა და თანდისთან, მის მაგიერ, რომ თაყვანი ეცათ მზისა, მთვარისა, ცისკრისა, ქარიშხალისა, ცისა და სხვა ამ გვარ საგნებისათვის, ადამიანებმა დაუწყეს თაყვანისცემა უხილავ არსებას, რომელსაც უწოდებდნენ ზეციერ მამას, ზევსს და სხვა სახელებს. ამ სახელებით იგინი აღნიშნავდენ უკვე არა ხილულ საგნებს, არამედ მას, ვინც იგინი შექმნა, გააჩინა, ქვეყნის მოაზრეს და მმართველს. აი ძირითადი საფუძველი, რომელზედაც დაშენებულია ყველა ცნობილი სარწმუნოება... სარწმუნოება იცვლებოდა, მაგრამ ძირითადი დებულება რომ არსებობს მოაზრე და განმგებელი ქვეყნიერებისა, ყოველთვის შეურყეველი რჩებოდა. ამ ნაირად ჩვენ მივედით იქნამდის, რომ აუცილებლად უნდა მივიღოთ და აღვიაროთ არსებობა სულისა ჩვენში და ჩვენს გარეთ. არსებითად სულ ერთია, რაც უნდა დავარქვათ ჩვენ ამ სულს,— ჩვენ ძრიელ კარგათ გვესმის, რომ იგი იმდენად აღემატება ჩვენს მიმღეობის ნიჭს, რომ თითქმის სახელის დარქმევის ცდაც კი სისულელედ უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვეძახით მას იაგავას, ალლახს, დევას, ღმერთს, შემოქმედს ჩვენი კაცობრივი გონების სიღატაკის გამო, მოკლე ჭკუის გამო. მეც ვუწოდებ მას მყოფს, მაგრამ ამაზე სხვიმის. ეხლა კი მე კმაყოფილი ვიქნები, თუ თქვენ დამერწმუნებით, რომ ჩვენი სული უბრალო ორთქლი არ არის და ქვეყნიერება ორთქლის მანქანა; მისთვის, რომ მანქანამ იმუშაოს, თვალმა იმზიროს, ყურმა ისმინოს, გონებამ იფიქროს, ამატოს და აკლოს, საჭიროა სული, მხედველი, მსმენელი, მოფიქრალი და მოანგარიშე. ამ ნაირად ჩვენ მივაღწიეთ ამ დასკვნამდის, როგორც ხედავთ, ისე, რომ ერთი ნამცეციც არ გადავცილებივართ გონების გზას და რომ კანონიერად და სინიდისიერად შეერთება-გამოკლებით ბოლოს მივდივართ იმ აზრამდის, რომ არსებობს ღმერთი (ვახწევთ იდეას ღმერთზე). მე დაგიხატე თქვენ რამდენიმე ხაზით კაცობრიობის შემეცნების (познаніе) წინსვლა. საჭირო იყო ბევრი რამ შემევსო ისტორიის დახმარებით; ამისთვის საჭირო იყო, ზედმიწევნით შეგვესწავლა კაცობრიობის სამღვთო წერილის წიგნები და ხელმძღვანელი ნაწარმოები აღმოსავლეთის და დასავლეთის ფილოსოფოსებისა.

მაშინ ჩვენ შევიგნებდით და აღვიარებდით, რომ კაცობრიობის ისტორია არის საუკეთესო ფილოსოფია, და რომ ღმერთი, არა თუ მარტო ქრისტიანობაში და ებრაელობაში, არამედ ყოველ სარწმუნოებაში ხშირად და სხვა და სხვა სახით გვლაპარაკებოდა ჩვენ და ეხლაც გველაპარაკება წინასწარმეტყველების პირით.

შეკნიშნავ მხოლოდ ერთს: ხშირად მეუბნებიან, რომ სული არ შეიძლება იყოს პირველი მიზეზი (prius), არამედ შედეგია ნივთიერებისაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, თუ საგანს განვიხილავთ ემბრიოლოგიურად ან ფსიხოლოგიურად.

ყმაწვილი იწყებს ღრმა ძილიდგან, შემდეგ ამას მოჰყვება სიზმრები და ბოლოს იგი იღვიძებს, იძენს შთაბეჭდილებებს, არქმევს სახელებს, აერთებს და აკლებს. რა იღვიძებს ყმაწვილში, ძვალი რომელიმე თუ, შეიძლება, ის რბილი ცომი, როელელსაც ტვინი ჰქვია? განა თეთრ ან ნაცრის ფერ ცომს ჩვენ თავის ქალაში შეუძლია სახელი უწოდოს, შეაერთოს? გკითხავთ ერთხელ კიდევ: შეუძლია თუ არა თვალს მზერა, ყურს სმენა? სინჯეთ მიცვალებულზე ან მძინარ კაცზე. უსუბიექტოდ არ იქნება ობიექტი, (უშინაგანოთ-გარეგანობა, უსულოთ სხეული), უჭკუოთ—ერთი წარმოდგენაც; უსულოთ-ნივთიერება. თქვენ ფიქრობთ, რომ ჯერ გაჩნდა ნივთიერება—მასალა, ხოლო შემდეგ ის, რასაც ჩვენ სულს ვუწოდებთ? მაგრამ სად არის ეს ნივთიერე-

ბა, სად არის ეს მასალა? სად გინახავსთ იგი? თქვენ ხედავთ ხეს: მუხას, რცხილას, წიფელას, ქვას, ხოლო ნივთიერებას ვერსად და ვერასოდეს ვერ ნახულობთ. ნივთიერება თვით სულის ქმნილებაა და არა წინაალმდეგ. განა მთელი ქვეყნიერება აზრი არ არის? ჩვენ მხოლოდ ვსწავლობთ იმ აზრების მოფიქრებას, რომელიც ჰქონდა უხილავს, მაგრამ ყოლიფერში გამომჩინარე ქვეყნის მოაზრეს. ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, გვესმის, ვსჭამთ, საზოგადოდ ვგრძნობთ, ეს ყოლიფერი ჩვენშია და არა ჩვენს გარეშე. შაქარი ტკბილი კი არაა, სიტკბოება ჩვენშია. ცა ტრედის ფერი კი არაა, არამედ ჩვენ გვეჩვენება (ვლებულობთ) მტრედის ფრად. არაფერი არაა არც დიდი, არც პატარა, არც მძიმე და არც მჩატე თავის თავად, არამედ მხოლოდ ჩვენთვისაა ასეთი.

ადამიანი არის საზომი ყოლიფრისა, როგორც უკვე სთქვა ძველმა ბერძენ-ფილოსოფოსმა, ადამიანმა გაზომა ნივთიერება და მისცა მას სახელწოდება. ხოლო როგორ ჰქნა მან ეს? ყოლიფერს, რისგანაც რამეს აკეთებდა, ის ეძახოდა ნივთიერებას (მასალას—матерія); სიტყვა მატერია (ნივთიერება) ძველად ნიშნავდა მხოლოდ საშენ მასალას, რისგანაც სახლს აშენებდნენ. აი მთელი სიბრძნე მატერიის შესახებ. იგი არის საშენი ხე, მუხისა, ფიჭვისა, წიფლისა, ოომელიც გნებავთ. განაყენეთ, როგორც გინდათ, გაასაზოგადოებრივეთ ეს ცნება, მაინც ბოლოს დაგრჩებათ ხე და ხე. და განა შესაძლებელია რომ ამ ხიდგან წარმოსდგეს აზროვნება და მით უფრო თვით მოაზრე? ნუ თუ ფიქრობთ, რომ არსებობს ისეთი გარეშე ქვეყნიერება, როგორსაც ვხედავთ, ვისმენთ, და ვგრძნობთ? სად არის ხე ჩვენ წარმოდგენის გარეშე? ჩვენი წარმოდგენები კი შესდგებიან გარეგანი (чувственный) მიმღეობიდგან, ხოლო ეს ჩვენი მიმღეობა, ნაკლულევანი, ჩვენი საგრძნობელი იარაღების ნაკლულევანების გამო, არსებობდა მხოლოდ ჩვენში, ჩვენთვის და ჩვენის საშუალებით. საგანი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. ვლებულობთ, რჩება ამ საგნად მხოლოდ ჩვენ წარმოდგენაში, ჩვენ ჭკუაში; რასაც ჩვენ ამ საგანზე ვფიქრობთ, ის ჩვენი, ხოლო თვით საგანი თავის თავად ჩვენთვის უცნობი რჩება. თუ თქვენ გნებავთ მას (საგანს) მატერია—ნივთიერება—უწოდოთ, და ქვეყნიერებას მატერიალური (ნივთიერებისგან შემდგარი), აგრე ჰქენით, ამის წინაალმდეგ შე არაფერი მაქვს, მაგრამ მისი სულის მიზეზად დასახვა წარმოუდგენელია; იგი (მატერია) შედეგია, გამოწვეული სულისგან, რომელიც ჩვენთვის მუდამ მიუწთომელი რჩება.

უკიდურესი მატერიალისტებიც კი აწერენ მატერიას ინერციას (ინერცია არის საგნის მდგომარეობა, რომელსაც იგი თავისთავად ვერ შეიცვლის სხვა მდგომარეობაზე, თუ გარეშე ძალამ არ შეუცვალა იგი მას. მაგ. ქვა ძევს და საუკუნოდ იდება, თუ ვინმემ ან რამემ არ გადააგორა იგი). ატომი (ნამცეცი) მოსვენებულია, სანამ რამე არ შეანძრევს. საიდგან მოხდება ეს შენძრევა? ყოველ შემთხვევაში ისეთი რამიდგან, რომელიც იმყოფება გარეშე მატერიისა, ატომისა, ასე რომ მისი თქმა მაინც არ შეიძლება, რომ ქვეყანაზე მატერიის მეტი არაფერიაო. ხოლო როცა ატომებს მოძრაობას და მიმღეობასაც კი აწერენ, როგორც შეებიან ზოგიერთი ფილოსოფოსები, ეს უმეტნაკლოთ იმას ნიშნავს, რომ მივმადლოთ მათ ყველა სულის ნიჭები, ე. ი. იგივე სული, რომელსაც მატერიის შედეგად ხდიან. თუ ატომში რამეა ჩადებული, მისი გამოღებაც შეიძლება. მიეცით ატომს რკოს თესლის ძალა და იქიდგან გაიზრდება მუხა. მიეცით ატომს ნიჭი გარეგანი მიმღეობისა და იქიდგან შეიძლება განვითარდეს ცხოველი და, შეიძლება, კაციც—მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან წყალმბადის, მჟავმბადის, აზოტის და ნახ-

შირმბადის, მკვდარი ატომებიდგან გრძნობისა და ცნობიერების განვითარებაზე. კიდეც რომ შესაძლებელი გახდეს ატომების მოქმედებიდგან იმის ახსნა, თუ რა არის სიცოცხლე (აქ შეუძლებელი არაფერია, თუნდა გეკკელი და ტინდალი უარს ყოფენ ამას), მაინც გრძნობა, ცნობიერება, და ჭკუა,—ერთი სიტყვით, ყველა სულის-ძალების არსებობა აუხსნელი და გაუგებარი რჩება. დჟონ სტიუარტ მილლი იდეალისტი სრულებით არ ყოფილა, მაგრამ ისიც კი ამბობს, სული შეიძლება მხოლოდ სულიდგანვე წარმოსდგესო. ტინდალმაც ცხადად გამოსთქვა თავის სიტყვაში ის აზრი, რომ მოლეკულიალური მოქმედების (პროცესის) განუწყვეტელობა და ცნობიერობის მოვლენანი არიან ის კლდეები, რომლებზედაც უნდა შეიმუსროს მატერიალიზმიო.

ბოსლეველი.

(შემდეგი იქნება).



## ახლ-მახლ.

გაგრძელება.[1])

### III.

ქართველ საზოგადოებას, ნებას არ მისცემდა თვით ის ნიადაგი სამშობლო ქვეყნისა, საიდანაც ის არის აღმოცენებული, რომ აზრი შეეცვალა იმ სარწმუნოებაზე, რომელიც საუკუნოებით არის აღბეჭდილი მის ნათელ გონებაზე, მაგრამ ეს არის სულ სხვა მიწა-წყლის ჰაერი, ეს არის სულ სხვა ხალხის შხამიანი ისარი, ჩვენი ხალხის ზნეობრივ მხრით და მაშასადამე ყოველ მხრითაც, გულის დასაკოდად გადმოსროლილი. დიახ, საფრანგეთის...—მაგრამ ნურავის გონია, რომ განათლებული საფრანგეთი არ შემცდარა და არ შეცდებაო. ის შეცდა სარწმუნოებრივ ბრძოლაში და შეცდა მწარედაც. მოვიგონოთ.

კარგა ხნის წინედ საფრანგეთმა გამოაცხადა უსაზღვრო სვინიდისის თავისუფლება. განსდევნა ღმერთი, მოსპო სარწმუნოება, საერთოდ აღკრძალა სახელმძღვანელოებში, მწერლობაში და მსჯელობაშიაც კი, ეხსენებიათ ღმერთი, ანგელოზები და სხ. განითავისუფლეს-რა თავი კაცთა ბატონობისგან, განიზრახეს სარწმუნოებრივი ზედ-გავლენისაგანაც გაენთავისუფლებიათ თავი, მაგრამ მოხდა კი მოსალოდნელი? სრულიადაც არა: დაეცა ზნეობა, შეირყა და გაირყვნა ხალხი, დაბნელდა მათთვის მზე, სანამ კვლავ ისევ არ აღადგინეს სარწმუნოება, როგორც ისეთი რამ მაცოცხლებელი ძარღვი, ურომლისოდ ხალხი ისევ ვერ იბოგინებს, როგორც თევზი უწყლოდ. ახლაც ხომ, შემდეგ დიდი ბრძოლისა, გაიყვანეს იქ, არც ისე მკაცრი, როგორც პირველში, მაგრამ მაინც ფართე სვინიდისის თავისუფლება, მაგრამ იქვი არ არის, რომ ამ შეცდომასაც გაასწორებს ის.

საფრანგეთი ხომ ცნობილია, როგორც დაუდგრომელი, მუდამ უკმაყოფილო, მუდამ ბედის მომდურავი ქვეყანა, იქ ხომ შეუწყვეტელი ბრძოლაა, ბრძოლა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი, სხვაზედ რომ არა ითქვასრა... მართალია, კაცი პირუტყვი არ არის, რომ ერთს წერტილზე შეჩერდეს და მით სამუდამოდ კმაყოფილი დარჩეს, მაგრამ არც მუდამ აღელვებული ზღვაა სასიამოვნო და საშარგებლო... განა ასეთსავე სარწმუნოებრივს მღელვარებას ვხედავთ ჩვენ განათლებულსავე ინგლისში?—სრულიადაც არა. იქ განვითარებული რელიგიური რწმენა მეტის-მეტად შეთანხმებულია მოქალაქობრივ ცხოვრებასთან, რაც თავდებია დიდებული მომავლისა...

მუდამ აბობოქრებულ საფრანგეთიდან ჩვენში სარწმუნოებრივი შეხედულობის გადმოღებაზე წარმოსადგენია რუსეთის მთავარი ვლადიმირი, რომელმაც, როცა ის სჯულს იცვლიდა, უთხრა ურიების წარმომადგენლებს: „ნუ თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენსავით ჩვენც გაგვიწყრეს ღმერთი და გაგვფანტოს დედა-მიწის ზურგზე, როგორც თქვენაც?!“

მართალია, ჩვენშიაც ბევრს უნდა მუდამ აბობოქრებულ-აღელვებული ვიყოთ, მუდამ

[1]) იხ. „შ-ნ. საქ.“ № 10.

მღვრიე იყოს ჩვენი ცხოვრების ზღვა, სადაც უფრო ადვილი მოსახერხებელია ოქროს თევზებზე ნადირობა და კიდეც... დიახ, კიდეც მოიბრუნა ბევრმა სული, ბევრმა დაინთო ცივს კერაზე ცეცხლი იმ საზოგადო დროშის ქვეშ, სადაც პირად ქონებრივ ინტერესებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა...

ამას უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ჩვენი მდაბიო ხალხი, უფრო სოფლის, რომელსაც მეტად ძვირად დაუჯდა და დაუჯდება კიდევ განურჩევლად სხვისი ფეხის ხმის აყოლა... ერთობ ჭკუის სისუსტეს მიეწერება, რომ კაცი ახალ-დაბადებულ აზრებით უცბად აღენთოს და უთავ-ბოლო მღელვარებას მიეცეს. ცხოვრებაში ბევრი არ გამართლებულა გარეგანი მეხედულობით მეტის-მეტად მარგებელი აზრებიც... ერთ მეგრელს უთხრეს: „ვაჟი-შვილი შეგეძინა, დიდი ქეიფი მოგველისო“. „არაო—უთხრა მან—მე მაშინ ვიქეიფებ, როცა ის გაიზრდება და კარგი გამოვა; ახლა რისთვის ვიქეიფო, არ ვიცი ნამდვილი ადამიანი გამოვა, თუ ავაზაკიო“.—განა სისულელე არ იქმნება, რომ ვინმემ მეტად ძვირფასი მცენარის თესლი გამოიწეროს სხვა ქვეყნიდან, აბრუნოს ხელში და მით აღტაცებაში მოდიოდეს? შესაძლებელია, მან ერთი მარცვალი ნაყოფიც არ მისცეს; მან იმდენად უნდა იხაროს, რამდენად მის მიწის ნიადაგმა ის თესლი ნაყოფიერად აღმოაცენოს... ვიმეორებ ისევ დიდებული პუშკინის სიტყვას: „შენ თვითონ ხარ შენი თავის უმაღლესი მსაჯული“.

ვინც ცოტად მაინც აკვირდები და გული შეგტკივა ჩვენი თანამედროვე სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაზედ, გული გიკვდება, როცა გესმის საზოგადოების ხმა, როცა გაისმის მისი საჩივარი: „ზნეობა-სარწმუნოების დაცემაში დიდი დანაშაული მიუძღვის თვით იმ პირთ, რომელთაც მისი მახლობელი მოვლა და დაცვა აბარიათო“—და უფრო გიკვეტება გული, როცა გრძნობ, რომ ერთის მხრით ეს არც ტყუილია,

„ჩვენ ვებრძვითო—გაისმის საზოგადოების ხმა, დიახ საზოგადოების და არა იმ თითოოროლა უღმრთო პირებისა, რომელნიც არა თუ საზოგადოებას (ადამიანთა ჯგუფს) არ შეადგენენ, არ შეადგენენ მის ნაწილსაც, როგორც გამხმარი შტო არ შეადგენს ცოცხალ მცენარის ნაწილს,—ჩვენ ვებრძვითო იმ მავნებელ წეს-წყობილებას და უზნერ სასულიერო წოდების პირთა უმგვანო მოქმედებას, რომელთაც დიდი ზნეობრივი ზედ-გავლენა აქვსთ ხალხზე, თორემ ღმერთი გვწამს და გვეწამებაო“... ღმერთმან ინებოს, არ შემცირებულიყოს სჯული, სარწმუნოება, სასულიერო უწყებას რაც გინდა მოელოდეს.

ისტორიას არ ახსოვს, რომ ხალხი ოდესმე უსარწმუნოებოდ ჰყოფილიყოს და არც ახლაა სადმე ცოტად, თუ ბევრად კულტურული ხალხი, რომელსაც სჯული არ ჰქონდეს. ქრისტეს ნამდვილი მოძღვრება, მისი სახარება იმდენად შეთანხმებულია პატიოსან კაცის ცხოვრებასთან, რომ მარტო გიჟს თუ მოუვა აზრად მისი უარის ყოფა, მაგრამ ეს როდია სასულიერო პირთა მამართლებელი ს-ბუთი?—

ქრისტიანობას მოვლენიდანვე დიდი ჭირი, დევნა და შევიწროება განუცდია, ამასვე იცდის ის დღესაც. იცდის, თუმც არა ისე პირდაპირ, როგორც პირველ საუკუნოებში, მაგრამ უფრო მავნებელს კი. პირველ საუკუნოებში რამდენად საშიში იყო ქრისტეს სარწმუნოების აღსარება და რამდენადაც საიდუმლოდ ვრცელდებოდა, ის იმდენად ღრმად იდგამდა ხალხის გულში ფესვებს, რომლის მიზეზი ადვილი ასახსნელია: მაშინ მას (ქრისტიანობას) არ სწამდა პირმოთნეობა-ცბიერობა, მიდრეკილება, ჯილდო, ანგარება და სხ. ის ჭეშმარიტებას ერთნაირად ამხილებდა, როგორც ბატარას, ისე დიდს, როგორც ღარიბს, ისე მდიდარს, როგორც უძლურს, ისე ძლიერს... მაშინდელი ქრისტიანების უმაღლეს რწმენას შეადგენდა: ჭეშმარიტი ზნეობრივი ცხოვრება აქ და სულის ცხოვნება საიქიოში. ეს გრძნობა და რწმენა იმდენად განვითარებული და მტკიცე იყო მათში, რომ მას ვერ ჩრდილავდა, ვერ ამცირებდა ვერავითარი ჯილდო-დაპირება და „ძლიერთა“ ამა სოფლისათა გამოგონილი მრავალ გვარი ტანჯვა-წამება. იფეთქა სიმართლემ, წჰაბერა სარწმუნოებრივ-

მა ქარმა და მოჰფინა ის ქვეყანას, მოაპრევინა მის წინ ქედი იმათაც, რომელთა ზიხლს და მძულვარებას ქრისტიანობისადმი საზღვარი არ ჰქონდა... ახლა?—ახლა კი რამდენად აშკარად ვრცელდება ის (ქრისტიანობა), იმდენად ძირში ჰია უჩნდება და რამდენად მის გარეგან და ფორმალურ მხარეს ყურადღება ექცევა, იმდენად მისი არსებობა უფერული და საშიში ხდება. ზეციერი სიმართლე შთანთქა, დღიურ ლუკმისთვის მომტირალმა ქვეყნიურმა ცხოვრებამ; პირველი უკანასკნელმა გაიხადა მარჯვე იარაღად, დაადგა მას მონობის მძიმე უღელი, საიდანაც გამოისმის მისი გმინვის უძლური ხმა... დიახ... მაგრამ ამაზე სიტყვის გავრცელებას ჩვენ არ გამოუდგებით. პირველ თავში სახეში გვყავდა სოფლის მდაბიო ხალხი, აქ კი სოფლისავე ზოგიერთ მოძღვრებზე გვექნება ლაპარაკი იმდენად, რამდენადაც მათი კეთილის მსურველი ვართ.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

# რწმენა.

(რუსულიდან).

როცა განგებამ ღვთიური ძალით
ინება ქვეყნად ჩვენი გაჩენა
თავისუფალი, უკვდავი სულით,
მაშინ ჩაგვბერა მან მისი რწმენა!

* * *

როს შფოთიანსა ჭაბუკობის დროს
გზას წარსაწყმედსა ვადგევართ ჩვენა,
მაშინ სადგურსა წყნარს, საიმედოს
ჩვენ მიგვაცურვებს წმიდა ის რწმენა!..

* * *

როს მოვმწიფდებით, როს მოვ-
ხუცდებით,
როს სული ტანჯობს, გვაქვს გლოვა,
წყენა...
ვით მოყვარული ძმა მოფერებით
გვამხნევებს მარად ის დიდი რწმენა!

* * *

ის გვიმსუბუქებს, ცხოვრების სიმწრეს,
შფოთსა და ზრუნვას... მით გვაქს ჩვენ
ლხენა...
დიდს მთებს გარდასვამს სხვა და სხვა
მხარეს,
გმირებსაც ის ჰქმნის... ეგ არის
რწმენა.

* * *

როს ცხოვრებაში გვიჩნდება სენი,
მკურნალთ ვერ ძალუძსთ რომლის
მორჩენა...
როს დათვლილი გვაქს ჩვენ მწარე
დღენი,
ნამია მაშინ ციური—რწმენა!!..

* * *

როცა თავდება ჩვენი ცხოვრება,
სამარადისოდ როს გვებმის ენა...
ბნელ-ცივ სამარის განცისკროვნება
ადვილად უჩანს...—აქაც კვლავ რწმენა!!

* * *

ნათელი არის იგი ცხოვრების,
გზის მჩვენებელი ვარსკვლავი ზენა...
ნეტარება მას, ვის არ უქრების
ეგ დიდებული ნათელი—რწმენა!!

ლადი გაგუა.

1894 წ.
ს. კოტიანეთი.

# დაბადების მოთხრობა

## ადამისა და ევას შეცოდებაზე ნამდვილი ისტორიაა, თუ ალეგორია და ზღაპარი?

(ჩვენი მატერიალისტების აბდა-უბდის გამო)

ვაჰ დედა თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ა რ წ ი ვ ი—ვაჟა-ფშაველასი.

### III თავი.*)

ასეთია ალლეგორიული ახსნის თეორია შესახებ დაბადების მესამე თავისა, მაგრამ ამან

*) იხ. „შინაური საქ." № 9.

თქვენი ჭირი წაიღოს, ბევრად ეს არ გვაშინებს, როგორც ქვევით დაინახავთ, რომ სხვები ამაზე უარესსაც არ ამბობდენ. დაბადების წინააღმდეგ გამოდის მთელი დასი ნემეცების და ფრანცუზების რაციონალისტებისა, რომელნიც მეცნიერული მომზადებითაც და უკიდურესი მიმართულებითაც (ურწმუნოებით), ძლიერ საშიშარი არიან. ასეთები არიან სახელდობ: შტრაუსი, ფლეიდერერი, გრილლი, გატტერერი, ეიხორნი, პაულუსი, გაბლერი, იერუზალემი, გეგელი, ფრანსუა ლენორმანი (ისტორიკოსი და ლინგვისტი) და სხვა მრავალნი.

ეს მეცნიერები ამბობენ, რომ მოსეს თქმულების მიღება პირდაპირ, როგორც მართლმადიდებლებს და კათოლიკეებს სწამსთ ეს, ყოვლად შეუძლებელია და დიდი უაზრობაა. აქ უფრო მითი, ზღაპარია, ვიდრე ნამდვილი ისტორიული ამბავი.

მართლაც ამბობს გაბლერი,—ვინ მისცა პირველ კაცს ისეთი განვითარებული ენა, როგორსაც მოსე აწერს ადამსა და ევას?! [1]). მართალია, სიუსმილი (მეცნიერია) კი გვარწმუნებსო, რომ ეს ენა ღმერთმა მისცა მზათ ადამსო, მაგრამ, ამბობს გაბლერი,—ეს შეუძლებელია, რადგან თუ მზათ და ერთბაშად მისცა, მიუცია მარტო ცალიერი ხმები, რადგან იმ დროს ჯერ კაცის თავში არავითარი აზრები არ იქნებოდა, და თუ თანდათან მისცა, კაცის გონებრივად ზრდის მიხედვით, მაშინ კაცს ორი სული უნდა ჰქონებოდა, რადგან იდეების ასოციაცია სულში ძლიერ რთული რამაა. ვერც ლესსინგისა და ტეტენსის აზრს მივიღებთო, განაგრძობს გაბლერი,—რომელნიც ამტკიცებენო, რომ ვითომც ენა არ ქონდათ ადამსა და ევას, მაგრამ ღმერთი უდგა უკან სუფლიორივით და ის ასწავლიდა ლაპარაკს, რადგან კაცს ლაპარაკის ნიჭი თან დაყოლილი აქვსო და ღმერთის ჩარევა საქმეში უაზრო და ულამაზო იქნებოდაო. ამ ნიჭიერების წყალობით კაცი უღმერთოდაც განავითარებდა ენას გარეშე ბუნებისგან მიღებული შთაბეჭდილებების საშვალებით და ზეგავლენითო. „ამნაირად თუ გვსურს, რომ ენის გაჩენა ღირსეულად მივაწეროთ ღმერთს, უნდა ის აზრი მივიღოთ, რომ ენა თვით კაცმა გაჩინაო“, დაასკვნის გაბლერი (იხ. Ungeschecisfe.—B. I, th. 2, S. 35—46.) მაგრამ ასეთი ენის შექმნისათვის, როგორც ცდა გვიჩვენებს, საჭიროა დიდი დრო, ადამი და ევა კი—განაგრძობს გაბლერი,—ცხოვრობდნენ სამოთხეში სულ მოკლე დროს, შეიძლება რამოდენიმე თვე და, ვინ იცის,—იქნება რამოდენიმე კვირაც-კი. „მაშასადამე შესაძლებელი არაა მივიღოთ, რომ იმ დროს ადამს ესმოდა ღვთის საუბარი და ან თვითონ ელაპარაკნა ასე დალაგებით“.

მეორე მოსაზრება მოყავს შტრაუსს. მისი აზრით, მოსეს მოთხრობა პირდაპირ არ არის მისაღები, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენთვის სრულიად გაუგებარი რჩება ის, თუ რა მოსაზრებით შთაადგა ღმერთმა ადამი და ევა ასეთს განსაცდელში. რისთვის გამოსცადა ღმერთმა ისინი და რა მიზანი ჰქონდა მის?! რატომ სხვა მცნება არ მისცა ღმერთმა მათ, მცნება და მოვალეობა უფრო გასაგები და მისაწვდომი, ვიდრე ხილის აკრძალვა, რომელსაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ უფრო დააეჭვიანა კაცი და დასცა კიდეც [2]).

თუ ხილი თავისთავად უვნები იყო, რალათ აუკრძალა ღმერთმა მისი ჭამა? ნუ თუ იმისთვის მხოლოდ, რომ ადამი და ევა ზნეობრივად გამოეცადა?! შეუძლებელია ეს, რადგან შედეგი მოჰყვა არა ზნეობრივი, არამედ ფიზიკური, ე. ი. ავათმყოფობა და სიკვდილი. მისი სახიერებისგან და სიბრძნისაგან მოითხოვებოდა, რომ არ მიეცა ასეთი სახიფათო და საუბედურო მცნება [3]). ან ის რა დასაჯერებელია, რომ ვითომ ეს ხე სიბრძნეს აძლევდა კაცს! განა რომელიმე ხე გახდის კაცს ბრძნად?! [4]) დასძენს გაბლერი.

ქვევით მოსეს გამოყავს გეგელი, ის აცდენს

[1]) იხ. მისი Urgeschichfe i Eichhornis. Heraus gegelen mif Einlitung von Fabler B. I. S. 32, შეადარე შტრაუსის Diechristliche Haubenlehre §§ 55 ვვ. 27.

[2]) Schtraus Die christliche Feubenlehre B. II, § 55 ვვ. 27—28.

[3]) Ibid. B. I, 5. 89—90; 92.

[4]) Pl. 87

კაცს. დასახლებული რაციონალისტების აზრით, ეს გველი ნამდვილი გველია. მაგრამ ეჭვი გვებადება მის ლაპარაკის შესახებ [5]). როგორ ილაპარაკებდა გველი? ასეთი ნიჭი მას ყველა ცხოველებზე ნაკლებად აქვს. ეშმაკი არ ყოფილა გველში, რომ ყოფილიყო, მოსე არ იტყოდა გველზე, რომ იგი „უგონიერეს ყოველთა მხეცთა ზედა“ იყოო, რადგან ეშმაკი თუ კი იყო გამოსული, ის იარაღად უგუნურს პირუტყვსაც კი იხმარდა, გონიერი გველი რა საჭირო იყო? გონიერი გველი იმისათვის არის ნათქვამი და გამოყვანილი, რომ რაც ჩაიდინა მან მხოლოდ თავისვე გონიერებით მოახერხა და არა ეშმაკის სუფლიორობით. მაშასადამე დაასკვნის ახალი მეცნიერი კნობელი ლანგეს სიტყვით,— ამ მოთხრობას გველის შესახებ ისე არა აქვს არავითარი კავშირი ეშმაკთან, როგორც მაცხოვართან [6]).

ამნაირად პირდაპირი მიღებით ვერას ვერ გავხდებით, ამბობს გებლერი,—მაგრამ თუ ამ თქმულებას მივიღებთ ზღაპრად, მაშინ-კი ყველაფერი გასაგებია [7]). მართლაც ამ გზას ადგებიან მრავალნი მეცნიერნი და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მოსეს თქმულება სამოთხეზე მითი და ზღაპარია, რომელიც სხვა ხალხების მითოლოგიაშიც ბევრგან გვხვდება. ანალოგია მოსეს თქმულებასა და ამ მითებ შორის განსაცვიფრებელია“ — ამბობს ლენორმანი [8]). დიდი ხნის აღიარებულია, ამბობს იულგრილლი,—რომ მოსეს თქმულებასა (ცოდვაზე) და ინდოგერმანელების თქმულებებს შორის არის დიდი მსგავსება [9]). იმ მითებში ყველგან, როგორც დაბადებაში, ებრძვიან ერთმანეთს ბოროტი და კეთილი სული, ბოროტი სული გველშია განხორციელებული, როგორც მოსეს ეშმაკი, ბოროტი სძლევს კეთილს, ადამიანს ცოდვაში აგდებს და ეს შეცოდებულიც ისჯება ისე, როგორც ევა და ადამი. ჯერ კიდევ ვედის პოეტები გვიხატავენ ბოროტს სულს გველის სახით ahi, ანუ wirta, ანუ ერთად ahiwirta, რომელიც არის იგივე ბოროტი სული Wickalschlage. [10]) ინდუსების ღმერთი ვ ი შ ნ ა მზის სახით ებრძვის გველს. ასეა ეგვიპტეშიცო. ეგვიპტელების ბოროტი ღმერთი ტ ი ფ ო ნ ი, რომელიც გველს ნიშნავს, სდევნის კეთილს ღმერთს ოზირისს— [11]), რომელი მოვლენაც სხვა ხალხების მითოლოგიაშიც გვხვდება. მაგალითად, ასე აქვსთ ჩინელებს, გერმანელებს და ბერძნებს [12]). ბერძნებისა და ძველი გერმანელების მითოლოგიაში ვ ა შ ლ ს, ფლეიდერესის აზრით, დიდი ალაგი უჭირავს, ე. ი. დიდი მნიშვნელობა აქვს. ის არის ცხოვრების, ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ნ ი შ ა ნ ი (henenszeischen), ხან კი დავის მიზეზია ის (Streitursache) როგორც სამოთხეში აკრძალული ხილი შეიქნა დავის მიზეზად. ბერძნების ზღაპრებში, როგორც ვიცით, პერსეფონა ვაშლის შეჭმამ დაღუპა და შთააგდო ჯოჯოხეთში, ე. ი. მთვარის ქვეშეთქვეყანაში (Unterwelt). ძველი გერმანლების მითოლოგიაში ღმერთს ი დ უ ნ ა ს აქვს ვაშლი (idunsäpfel), რომლის ჭამითაც ყმაწვილდებიან გერმანელების ღმერთები. მითოლოგიამ იცის ეგრედ წოდებული გ ე ს პ ე რ ი დ ი ს ა რ ა კ ე ბ ი, სადაც გველი ზის ხეზედ, როგორც მოსეს თქმულებაში, იგი არის გამოყვანილი გველეშაპად, რომელიც მწყსის ო ქ რ ო ს ვ ა შ ლ ე ბ ს, ან იტაცებს ამ ვაშლებს. ამ გველს დიდი ალაგი ჰქონდა ბაბილონის თქმულებებშიც. აქ იპოვეს ასეთი ნაშთები: დახატულია ცოლი და ქმარი, რომელთაც ხელები გაუშვერიათ ხისაკენ, საიდამაც ნაყოფი არის ჩამოკიდებული და ამავე დროს ქალს უკან ხეზე იხვევა და იკლაკნება გველი [13]). ასე არ აქვს მოსესაც?! და თუ ასეა, რაღა უნდა ამოვიკითხოთ და ვეძიოთ დაბადების პირველ თავებში? კითხულობს ლენორმანი და თვითვე იძლევა ასეთს პასუხს: დაბადების მესამე თავ-

[5]) Urgeschichte, I, 137.

[6]) Lange Pheol. christe გვ. 867.

[7]) Urgesch. I, 115.

[8]) Tr. benormant. hes Origines de histoire 1880 II, 97.

[9]) იხ. მისი Die Ervater der Menschheif 1875, III, 28. შეადარე ფლეიდსტერის Genetisch specul. Relig. 1884, 4 თ. 362—363 გვ.

[10]) Griel. die Ervater... გვ. 280.

[11]) Langl. Phelog homied. Ribelwerk, 87.

[12]) Ibid.

[13]) ფლეიდერერი. Genetisch spesulative Riligion 1884 გვ. 363.

ში აწერილი ამბავი არ არის ღვთისაგან შთაგონებული ისტორია და არც ებრაელების საკუთრება. ეს არის გარდამოცემა, რომლის დასაწყისი უძველეს დროის წყნდიადში იკარგება და რომელიც ჰქონდათ ყველა დიდ ერებს წინა აზიისა ცოტოდენი ვარიანტებით. ფორმითაც მოსეს თქმულება ისე წააგავს ბაბილონის და ალდეს გარდამოცემას, რომ მათი წყარო ერთი და იგივეა. ეს თქმულება ბაბილონიდან და ხალდეიდან, ე. ი. ურახალდეიდან (მესოპოტამიიდან, მცირე აზიიდან, სადაც სცხოვრობდა ხალხი ბაბილონის გოდოლის შენების დროს), აბრაამის ოჯახმა გადმონერგა პალესტინაში, როგორც უბრალო თქმულება და მერე წინასწარმეტყველმა მოსემ და სხვებმაც იგი მონათლეს თავის ჭკუაზე, შთაუდეს ახალი სული და ამას უწოდეს ღვთიური განცხადებაო, ამბობს ლენორმანი [14]). ამასვე ამბობენ გრილი და ფლეიდერერი. პირველის აზრით, დაბადების თქმულება არის მერმინდელი განვითარება ინდოგერმანელების მითისა; მეორეს აზრით კი ძველს საგებს (ზღაპრებს) წინასწარმეტყველებმა ეთიკური, ანუ ზნეობრივი აზრი მისცეს [15]). სარჩული იყო კოსმიური წარმოდგენები, ებრაელებმა კი ეს შეცვალეს ეთიკურ და რეფლექტიურ ელემენტებზე. (ib. 322), განაგრძობს გრილი. ადამისა და ევის საზიზღარი საქციელის ალაგიც, ე. ი. სამოთხის ბაღიც, მისი ოთხი მდინარით უთი. თებს ბაბილონზე, როგორც მის სამშობლოზეო—ამბობს ფლეიდერერი. (Weit auf babylonische Heimoth der Sage)... ბაბილონის კოსმოგონიაში ხის ნაყოფია გამოყვანილი, როგორც მიუწთომელი და საშიშარი (მომხიბლავი) ნივთი, ებრაელებისაში კი ამის მაგიერ მოგვაწოდეს ხელში ამ ხილის ჭამს აკრძალვაო. (ib. 364).

ამ თეორიიდან ცოტათი განსხვავდება ზოგიერთ მეცნიერთა შეხედულება. იგინი აქ პოულობენ ფილოსოფიურს მითს, რომლის წყაროა, გაბლერის თქმით, - „ისტორიული მარცვალი“, რომელიც მერე ვიღაცა ბრძენმა განავითარა, მაგრამ მან ეს ისტორიული მარცვალი, ძველი მითი, აურდაურია თანამედროვე იდეებში და გარყვნა იგი, ამას ამბობენ სხვათა შორის გაბლერი, ეიხორნი და გატტერერი. აბორბონელი, დატე და დოდერლეინი ხედავდენ მოსეს თქმულებაში ისტორიულ მითს, ე. ი. დრამატიულად და მხატვრულად გადმოცემულს და აწერილს ნამდვილს შემთხვევას. მათი აზრით, ნამდვილი საგნებია: სამოთხე, ხეები (შხამიანი და სამკურნალო), აკრძალვა ღვთისგან შხამიანი ხილისა, შეჭმა მისი, ფიზიკური შედეგი (სხეულის დანგრევა და დასჯა). სხვა თუ რამ არის ნათქვამი, ეს მაშინდელი მხატვრული ენის წყალობაა [1]).

კიდევ არის თეორია. პაულუსის აზრით, მოსეს მოთხრობა არის პოპულიარული, ანუ მდაბიო, გავრცელებული ფილოსოფობა ძველი დროისა. მან ბოლოს მითიკური ტანსაცმელი ჩაიცვა. ენა პროზულია, პოეზიას კი წარმოადგენს **ვნებათა, გრძნობიერი მხარე,** ანუ მოთხრობითი ფორმა გარდმოცემისა, რის გამოც იგი ისტორიას ვავს და აბნევს მკვლევარებს ამით. თითქმის ახლო სდგას პაულუსთან გამბურგიც (მეცნიერია), რომლის აზრით მოსეს ამბავი ეროვნული მითია, რომლის მიზანია აგვიხსნას ფიზიკური ბოროტება ზნეობრივი ბოროტების საშვალებით. კაცი მაშინ ხედავდა ბოროტებას ცხოვრებაში და წარმოიდგინა, რომ ოდესღაც ბოროტება სულ არ ყოფილა. კაცს უნდა შეეცოდა, რომ ცოდვა-ბოროტება გამჩარიყო ქვეყანაზე. მაგრამ ვის უნდა შეეცდინა იგი? ღმერთს? არა. მაშასადამე, მაცდურად უნდა გამოსულიყო მეორე არსება, სხვაზე „უგონიერესი“ (დაბადება III, თ. მუხლი I.), ე. ი. იმ დროის შეხედულებით, **გველი.** მაშინდელი ხალხის ფანტაზიამ დიხატა ბალში ხე, რის ნაყოფის ჭამასაც კაცი ვერ გაბედავდა, მერე გამოიყვანა გველი, მისი მჭამელი, ხის ქვეშ დედაკაცი, რომელიც უცქერის, როგორ ჭამს ამ ხილს გველი, ბოლოს მისი წაბაძვით თვითონაც სწყვეტს და ჭამს. მხატ-

[14]) იხ. მისი les origines... P. II, გვ. 106—108.

[15]) I. Grill Die Erväter der Menschheit, გვ. 310. ფლეიდერერი: Genetisch... 4 or. 363 გვ.

[1]) გაბლერი Urgeschichte I, 2, 496—500.

ვრულმა ენამ დაბადა მითმა, რომლითაც ისარგებლა მოსემ ბოროტების ასახსნელად ქვეყანაზე. (გაბლერის Urgeschichte, 568—574).

გატტერერის აზრით, აკრძალული ხე იყო შხამიანი, ამიტომ მისგან ყველა ცხოველები გარბოდენ, მათი შეხედვით კაცმაც უტია, მოერიდა საშიშარს ხეს, მაგრამ ერთხელ კაცმა შეამჩნია, რომ გველი ჭამდა მის ნაყოფს და ვნების მაგიერ უფრო და უფრო ცოცხლდებოდა, ამით გაბრიყვდნენ ადამი და ევაც და შეჭამეს, და როდესაც ტანში იგრძნეს ვნებათა ღელვა და ტკივილები, შეშინდნენ და ბაღიდან გაიქცნენ, როგორც საშიშარი ადგილიდან; სინდისის ქენჯნა და ბაღის გარეთ ცხოვრებაში ტანჯვები მათ ღვთის რისხვათ მიიღეს, ქუხილი, რომელიც გაიგონეს,—ღვთის ხმათ ეჩვენათ და ბოლოსაც გველისადმი ბუნებითი ზიზღი—გველის დაწყევლად ღვთისაგან. (ib. 199).

თუ კი ამ ნაირად ყველაფერი მოსეს თქმულებაში ზღაპარია, რაღა აზრი აქვს თვით ამ ზღაპარს? რას ნიშნავს იგი? ფლეიდერერის, გრიმის, კანტის, გეველის, შლეიერმახერის და გაბლერის აზრით ამ ზღაპრებში ყველაში ერთი აზრია: იგინი აღნიშნავს **კაცის შემეცნების პირველს გაღვიძებას.** ნაყოფის აკრძალვა იმას მოასწავებს, რომ კაცი მომაკვდავი არსებაა, მისი ძალები შეზღუდულია და გადამეტს ცოდნას არ უნდა წაუპოტინოს ხელი, რომელსაც მისი სუსტი ბუნება ვერ აიტანს. პირველი კაცის დაცემა მოასწავებს მისი შემეცნების პირველს გამოცხადებას, მის ამაღლებას ბუნებაზე, მისი მაღალი დანიშნულების გაგებას პირუტყვებთან შედარებით, მოკლეთ რომ ვსთქვათ, **პირველს კულტურულს მისწრაფებას,** როცა კაცმა დატოვა ბავშური უმანკოება, ბუნების შვილობა და ღმერთთან საუბარი (otton Pfleiderer, genetisch spekulativ Religion—364—5). ეს აზრი კანტისგან ნასესხებია. პირველათ კანტმა აღიარა, რომ დაბადების მესამე თავში დახატულია სურათი გონების გამარჯვებისა. ცოდნის სურვილი და ნიჭი ჰქონდა კაცს და ავარჯიშებდა მას **ალღოს** შემწეობით. როცა მოეზარდა და მოუმწიფდა გონება, მან ალღოს აღარ დაუჯერა, თავისი მოთხოვნილებაც წამოაყენა, აქ გაჩნდა ვნება, რომელმაც დასცა კაცი. ზნეობრივად ეს რეგრესია გონებრივად კი დიდი **პროგრესი,** ესაა რეფლექსი; ახლა კაცმა შესძლო მომავალზე ფიქრი (იხ. ეიხორნის Urgeschichte B. I, 424; შტრაუსის Dichristliche Glaublehre II, 27 34). ეიხორნი ასე ხატავს ამავე აზრს: ყოველი ბოროტება იქიდამაა, რომ კაცს აქვს სურვილი უკეთესი გახდეს. ამას ძველი ხალხებიც გრძნობდენ და აღიარებდენ, ეს აზრი ჰილაც ძველმა ბრძენმა ასე გამოხატა იმ დროის ენის საშვალებით: **ადამიანი რომ აღარ დაჯერდა თავის ქვეყნიურს, მიწიერს საზრდოს, მოინდომა ღმერთების საჭმელის გასინჯვა და ამით აიტეხა დიდი ჭირი და მომავგდავი გახდა.** (Urgesch. 639.) ტონკელი.

(შემდეგი იქნება).

## აღრჩევითი უფლება და სამღვდელო კანდიდატების კრიზისი იმერეთის ეპარქიაში.

განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთ ერთ უმთავრეს პრინციპს შეადგენდა მოთხოვნა ფართო აღრჩევით, წესების შემოღებისა სახელმწიფო მართვა გამგეობაში. რომელ მიტინგზედაც, რომელ კრებაზედაც უნდა დასწრებოდი, ყველგან გაისმოდა ერთი და იგივე ყბად აღებული აღრჩევითი უფლების განმარტება, მისი მიუცილებელი საჭიროება დღევანდელ ცხოვრებისათვის. აღრჩევითი წესის სიკეთეზე პრინციპიალურად არავინ წინააღმდეგი არ იქნება. რატომაც არ უნდა მქონდეს მე უფლება აღვირჩიო ჩემი მმართველი ან მცველი, რომელიც ჩემ ინტერესებს დაიცავს, რომელმაც ჩემი ყოფაცხოვრება იცის, ჩემი ავლადიდება აწონ-დაწონილი აქვს. რათ უნდა დავაყენოთ მგელი ცხვრების მწყესად, რომ თვით ცხვრებსაც არ დავეკითხოთ. ასე პრინციპიალურად რომ გავსინჯოთ, აღრჩევითი უფლება არის ბუნებითი კუთვნილება ყოველი გონიერი არსებისა... მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება, ე. ი. სრული და თავისუფალი

არჩევითი უფლებების გატარება ხალხში, ჯერ მაინც შეუძლებელია, როგორც ეს აშკარად დაგვანახვა იმ პატარა „არჩევნუკებმა", რომელთაც აღგილი ჰქონდათ ჩვენ ცხოვრებაში ამ ორი სამი წლის განმავლობაში და რომელიც სწარმოებს დღეს სამღვდელო კანდიდატების აღრჩევის შესახებ.

ავიღოთ ჯერ მაგ. სასათაბირო, სადუმო წევრების არჩევნები. განა შეგვიძლია ვსთქვათ სინდის ქვეშ, რომ ეს არჩევნები თავისუფლად ხდებოდენ? ან ფარული კენჭის ყრით სწარმოებდენ? მგონი, ზარბაზანი არ ხმარებულა, თორემ სხვა ლონის ძიება არაფერი დაუკლიათ დაინტერესებულ პირებს, რომ თავის კანდიდატები გაეყვანათ. ფარული კენჭი კი არა კილაძის სტამბაში დაბეჭდილ კანდიდატების სიებს აჩრიდენ ხელში, გინდათ თუ არა, ესენი აირჩიეთო. ეს ძალმომრეობა არისო, იტყვით. პროპაგანდა? პროპაგანდა თავის კანდიდატის გასაყვანად განა ისეთივე ძალმომრეობა არ არის, მხოლოდ ზნეობრივი? თუ აღმრჩევი თავისუფლად, თავის საჭიროების და მოთხოვნილების მიხედვით უნდა იქცეოდეს, რაღას უქადაქებ ამა და ამ პარტიის, ამა და ამ მიმართულების, ამა და ამ სარწმუნოების, ან ურწმუნოების კანდიდატები აირჩიეო? გამოდის საყოველთაო არჩევნები კი არა, ხალხის უფლება კი არა, არამედ არჩევნები პარტიისა, არჩევნები მცირე ჯგუფისა, უფლება პროპაგანდისტებისა. მოქმედებს ხალხის თავისუფალი ნება კი არა, ძალმომრეობა ფიზიკური, ზნეობრივი და ქონებრივი. ვინც მეტი ლონიერია, ვინც მეტ პროპაგანდას ეწევა, ვინც ქონებით მაღლა სდგას, ე. ი. ვისაც ფული ხელს უწყობს, რომ ფიზიკურად და ზნეობრივად პროპაგანდა გასწიოს, იგია გამარჯვებული ეხლანდელ ჩვენ არჩევნებში, მისია ბურთი და მოედანი. რაღა რჩება ხალხს, რომლისთვისაც ვითომდა ვიღვწით, რომელსაც ვითომდა მოვუპოვეთ ეს უფლება? საჯდომიდგან ყუთამდის კენჭის მიტანა, ჩაგდება კი მისი საქმე არ არის ამას სხვა უხილავი ხელი ასრულებს.

ან კი, რომ ვსთქვათ, რა ნაირად უნდა აირჩიოს ხალხმა თავის წარმომადგენელი? არჩევანი რომ შეიძლო, უნდა იცოდე ასარჩევი საგნების ავ-კარგიანობა. რომ საუკეთესო გამოარჩიო რამოდენიმე კანდიდატთა შორის, უნდა იცნობდე ყველა კანდიდატებს ისე, როგორც თავის ხუთ თითს, უნდა მისხლობით გქონდეს აწონილი თითეულის გონებრივ ბარგის სიმძიმე, თითეულის მიმართულების, მისწრაფების ავ-კარგიანობა, უნდა გათვალისწინებული გქონდეს აგრეთვე შენი ყოფა-მდგომარეობა, შენი გონებრივი და ზნეობრივი მხარეები, რომ ან ზედმეტი, ან ნამეტანი ნაკლები არ შეიქნეს შენი არჩეული, რადგანაც ორივე უკიდურესობა ერთნაირად წაახდენს საქმეს. პირველი მით, რომ მოინდომებს ჯერ კიდევ უმრავლესობისათვის მიუწთომელს და თვალშეუდგამ საგნების განხორციელებას და ზედ შეაკლავს აურაცხელ ენერგიას, ხოლო სასურველს კი ვერ მიაღწევს; მეორე მით, რომ უკან დაიწყებს ყურებას, ან ერთ წერტილზე შეჩერდება და არ მისცემს ნებას, ხალხმა შემოქმედებითი ძალა გამოიჩინოს ისტორიული თანდისთანობითი წინსვლა განაგრძოს და მით საუკეთესო მომავალი შექმნას. სადაც ასეთი განვითარება არ არის, სადაც საარჩევნო კანდიდატების ავკარგიანობას ძალმომრეობა სწყვეტს, ძალმომრეობა, რაც უნდა კეთილშობილურ ტყავში სწარმოებდეს იგი, იქ არასოდეს არ ითქმის, რომ არჩევნები წესიერად სწარმოებსო, ასეთი არჩევნები თავის დღეში იმას ვერ მოგვცემს, რისიც მოლოდინი გვაქვს, ან უკეთ ვსთქვათ, რაც საჭიროა დღევანდელი დღის მიხედვით. წარმოიდგინეთ პირველ დუმაში და ან ყველა დუმებში მარტო სოციალდემოკრატები აერჩიათ და მათი მომხრე მართებლობა ყოფილიყო. რას იზამდნენ იგინი? უთუოდ შეუდგებოდნენ თავის პროგრამის განხორციელებას. მერე რა მოხდებოდა? მოხდებოდა ის, რომ თითონ შეეშინდებოდათ თავის განხორციელებულ ოცნებისა ისე, როგორც უგნურ ცხენს შეეშინდა თავის განხორციელებულ ოცნება—აქლემისა, და გაიქცეოდნენ. და თუ არ გაიქცეოდნენ, კულტურულად მოუმზადებელი ხალხი გაიჟლიტებოდა, ან გაჟლეტდა თავის აპეკუნებს

და იქამდე იბრძოლებდა, სანამ თავის ისტორიულ თანდისთანობით მიმდინარე კალაპოტში არ ჩადგებოდა. დამტკიცებულია და განმეორება საჭიროც აღარ არის, რომ ისტორიამ ნახტომი არ იცის, რომ ცხოვრება თანდისთან ვითარდება, რომ იგი ერთ მეტ ნაბიჯსაც ვერ წარსდგამს იმაზე წინ, რაც არ შეეფერება, რის წარდგმასაც დრო და ვარემოება ხელს არ უწყობს. მხოლოდ უზენაესს შეუძლია დაარღვიოს ასეთი კანონი საზოგადო განვითარებისა.

ამ ნაირად არჩევნებისათვის საჭიროა განვითარება, საჭიროა შეგნება, საჭიროა მიზნის ერთგვარობა აღმრჩეველთა და აღრჩეულთა შორის. თუ ასე არ არის, თუ მისაღწევი მიზანი, იდეალი მათ შორის ერთი არ არის, უთუოდ დაიბადება ორი მოპირდაპირე, შეურიგებელი მოპირდაპირე ბანაკი მმართველებისა და სამმართველოსი, ე. ი. ოგივე მართებლობა და ქვეშევრდომ'ა. პირველი ეცდება თავისი გაიყვანოს მიუხედავად ხალხის მისწრაფებისა, ხოლო ხალხი შეიქნება ფეხწამოსაკრავ ქვად, რომელსაც ვერ გადაახტება მართებლობა, კლდედ, რომელზედაც შეიმუსრება მისი ლიბერალური უეამო მისწრაფებანი. საჭიროა ხალხი თვით თხოულობდეს ამა თუ იმ რეფორმას და მართებლობაც აკმაყოფილებდეს. სიგიჟე იქნება, რამოდენიმე ასი წინწასწრებული კაცის გემოზე მოიწყოს ქვეყნიერება და რამოდენიმე მილიონი ხალხი განსაცდელში ჩავარდეს. ათასი ძუძუ მწოვარი, რომ სარჩენი გვყვანდეს, რა თქმა უნდა, ერთი კაცის გულისთვის მაგარ საკმლით კვებას ვერ დავუწყებთ.

გვაპატიეთ, თუ ვცდებოდეთ, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ახლო წასულმა არჩევნებმა ვერ გაამართლეს მოლოდინი, ვერ მისცეს ხალხს ნამდვილი თავდადებულნი მოღვაწენი. არც მაინც და მაინც ძველი არჩევნები გამოსულა უებარი წამალი საზოგადოების წყლულისა. ავიღოთ მაგ. ჩვენი ქუთაისის თვითმართველობა. რამდენი ხანია არჩევითი წესით არჩევა ჩვენი ქალაქის მოღვაწენი და ერთი მიჩვენეთ, რომელი ზეკაცი გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე ამ არჩევნებმა? ნეტარ ხსენებულნი ა'ათიანი, ლოლუა და სხვანი რას წარმოადგენდენ? რა შეეძინეს ქალაქს? გაიხედ-გამოიხედეთ, დაუკვირდით ქუთაისის ს ნიტარულ მდგომარეობას, საზოგადოდ ცხოვრების პირობებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ მათ ადგილზე, რომ სხვები ყოფილიყვნენ, განათლებითაც უფრო დაბალ საფეხურზე მდგარნი, ქუთაისი არაფერს დაკარგავდა და იგივე იქნება, რაც დღეს არის. ახლანდელ ქალაქის ძოლვაწეებზე ჩვენ არაფერს ვიტყვით, მ თ ისტორია დააფასებს თავის დროზე.

ბანკის არჩევნები? ქუთაისის ბანკი მათი მეოხებით კინკრიხზეა მიმდგარი. სოფლის არჩევნები? მამასახლისი, სუდიები, ნაცვლები და სხვა და სხვა რას წარმოადგენენ? რომელ სოფელში რა გაკეთდა მათი მეოხებით? ს დ რა ჯიდა დაადგეს მცხოვრებლებს. იქა აქ უვიც მეზობელ მამასახლისისგან გატყაულმა ხალხმა ნასწავლი მამასახლისების არჩევნები დაიწყო. ხშირად ჯამაგირსაც უნიშნავდა, მაგრამ რა გამოვიდა? ის რომ მათ ჯიბა დაისქელეს და ხალხს აურაცხელი „ენდრონიკა“ დაატეხეს. არა, ჯერ არაფერი სიკეთე მოუტანია ჩვენთვის აღრჩევით წესს...

უკიდურესი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
მღვდელი სიმონ მჭედლიძე.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქ-ნ ე. მჭედლიძის სახლებში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევი № 17) გაიხნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებელისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც.

Типографія І. Хеладзе и И. Киладзе, въ Кутаисѣ